პრობლემა

არა!

ანუ არასპეციალისტის პასუხი სპეციალისტთა წერილზე „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?“

ვახტანგ ჩხუმიანი

გახლეჩილი პატრიოტიზმი

„რატომ გგონიათ, რომ ჩვენ, ინჟინრები, თქვენზე ნაკლები პატრიოტები ვართ?!“ — ნაწყენი ტონით ეკითხება ჟურნალისტ გოგონას კაცი, ვისაც «ენგურჰესის მშენებლობა საშვილიშვილო საქმედ ესახება.

რთული შეკითხვაა, შეკითხვად თუ ჩავთვლით. მაგრამ ეს მაინც თავის მართლებას უფრო ჰგავს. თავს ის იმართლებს, ვისაც ბრალი დასდეს (ან ეჩვენება, რომ ბრალს სდებენ). ჩვენს ინჟინრებს კი, „საუკუნის მშენებლობებზე“ ხელმიჩვეულთ, საზოგადოებამ უკვე წაუყენა უამრავი ბრალდება და თუ მაინცდამაინც ერთ სიტყვაში მოქცევას მოვინდომებთ ამ ბრალდებებისა, შეიძლება არაპატრიოტობაც დავარქვათ მას.

...რამდენადაც მახსოვს, ბაიკალის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლები ვალენტინ რასპუტინმა გადაიხადა. მერედა, ვისგან იცავდა მწერალი ბაიკალს? ინჟინრებისაგან, მათი უწყებრივი პატრიოტიზმისაგან.

რაც ბამზე ამბავი გვქონდა!.. რა ნარკვევები, ლექსები, წიგნები, ფილმები, სიმღერები... დღეს კი ამ მშენებლობის თვით იდეასაც კი საკმაოდ უპატივცემლოდ მოიხსენიებენ ხოლმე პრესაში.

მაშასადამე, მის დამპროექტებელთა პატრიოტიზმიც ეჭვქვეშ დგება.

ჯერაც არ დამცხრალა ის აჟიოტაჟი, ტრანსკავკასიის რკინიგზის თაობაზე რომ ატყდა. ადვილად არა, მაგრამ, მგონი, მაინც მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ თუ რაიმე აკლდა ამ პროექტს, პირველ ყოვლისა — პატრიოტის გული და გონება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათთვის პატრიოტული ისაა, რაც **სასარგებლოა** დღეს, მოცემულ მომენტში. პატრიოტიზმის ცნება გაიხლიჩა თითქოს და მისგან ცალკე გამოიყო ტექნოკრატთა უწყებრივი პატრიოტიზმი, რომელსაც ისევ საზოგადოებაზე ზრუნვა უდევს საფუძვლად.

უცნაური ამბავია: ტექნოკრატ-

გვქონდეს გარდა იმისა, რომ მთელი არსებით ვემსახუროთ ჩვენს რესპუბლიკას, ვიღვაწოთ და ვიშრომოთ იმისათვის, რომ ხვალ იგი ეკონომიკურად რაც შეიძლება მძლავრი და განვითარებული ვიხილოთ, რათა ამით კიდევ უფრო დავამშვენოთ, გავალამაზოთ იგი და რადიკალურად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე“.

რამდენადაც ვიცი, არც ამ „მანიფესტის“ გამოქვეყნებამდე გვთვლიდათ ჩვენი საზოგადოება მტრის მიერ მოგზავნილ დივერსანტებად, რომელთაც საქართველოს დაქცევა აქვთ დავალებული. მაგრამ, სამართლიანობის გულისათვის მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ხმა იმ პროტესტისა, რაც თქვენი საქმიანობის გამო გაისმის, ეტყობა, რამდენადმე ტრანსფორმირებული სწვდება თქვენს სმენას...

ახლავე მოგახსენებთ, რაცა მაქვს მხედველობაში.

„...ჰიდრომშენებლები რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის ყოველ დაინტერესებას ჩვენში ჰიდრომშენებლობის საკითხებით **აღიქვამთ როგორც თანადგომას...**“ (ხაზი ჩემია, — ვ. ჩ.).

მოდი და ნუ გაოცდები!

რესპუბლიკურ პრესაში — „სა-

მტრის ქვეყანაშია თუ სვანეთს ვუფრთხილდებით და წალენჯიხა არაფრად გვიღირს?!

ზუსტად ამგვარივე პოზიცია უჭირავს (მაშასადამე, ეს ჰიდრომშენებელთა საერთო პოზიციაა) ტელეგადაცემის ერთ მონაწილესაც: ხაიშში სულ ქოხმახებია და არა უშავს, თუ დაიტბორებაო...

წარმოუდგენელი მკრეხელობაა, ჩემის აზრით. განსაკუთრებით მოულოდნელი — ქართველისაგან!

ხაიშში ტიპიურ კაპიტალურ შენობებშია მოთავსებული საშუალო სკოლა, საავადმყოფო, კულტურის სახლი... არის ფოსტა, აფთიაქი, მაღაზიები, ორგანიზაცია-დაწესებულებები (რესპუბლიკის ყველა სოფელში ვართ განებივრებული ამ ყველაფრით?!). მაგრამ ეს არ არის მთავარი. დავუშვათ და მართლაც ქოხმახები იყოს მხოლოდ. მერედა, მშობლიური მიწისადმი, სოფლისადმი, მამა-პაპათა ძვალთშესალაგისადმი ჩვენს დამოკიდებულებას შენობათა სართულიანობა განსაზღვრავს?! **აუცილებლად ოქროს მადანი უნდა გვეგულებოდეს. კლდეში, რომ დაწერო, არ გავცვლი სალხა კლდეებსა უქდავებისა ხეხედაო?...**

მაგრამ ნუ იტყვით, — ჰიდრომშენებლებმა, თურმე „მატერია-

ვინც საკუთარ თავზე განიცდის პრაქტიკულ შედეგებს?

წერილის ავტორები არაკეთილმოსურნეთა (განსაკუთრებით — ჟურნალისტების) მონაჩმახად თვლიან ხმებს ენგურჰესის კაშხლის არასაიმედოობის შესახებ. თბილისის უნივერსიტეტში შეხვედრაზე კი სპეციალისტებმა არცთუ ორაზროვნად გვამცნეს, რომ ამგვარი ხმები სულაც არ ყოფილა საფუძველს მოკლებული. არც სეისმური თვალსაზრისით ყოფილა დიდად საიმედო ამხელა კაშხლების მშენებლობა ჩვენთან (ამ თვალსაზრისს შემაძრწუნებლად ადასტურებს ის ტრაგედია, რაც ამ დღეებში მიწისძვრამ დაატრიალა მეზობელ სომხეთში).

როგორც პროფესორი მიხეილ ლოლობერიძე წერს, ამჟამად [illegible] **აღირიცხება კაშხალთა დანგრევის 8 და ავარიის 10 შემთხვევა...** როგორ გუნებაზე უნდა დადგე ამის წაკითხვისას, უცებ რომ წარმოიდგენ ენგურჰესს, რომლის წყალსაცავშიც 1 მილიარდ 110 მილიონი კუბური მეტრი წყალია დაგუბებული... რომ ამას უნდა დაემატოს მეორე გიგანტი — ხუდონჰესი... მერე — ტომარჰესი და ა. შ. — მესტია-

შენებინებთ ხუდონჰესს, ხომ კარგი — „კიდევ უფრო დავამშვენებთ, გავალამაზებთ“ რესპუბლიკას, „რადიკალურად ავამაღლებთ ხალხის ცხოვრების დონეს“... ხელს შევუშლით, წინ გადავეღობებით ჰიდრომშენებლებს სვანეთის ჩაძირვაში და ვაი ჩვენს თავს! — ვერც სამეურნეო ანგარიშზე გადავალთ, ვერც სახალხო მეურნეობას განვავითარებთ და, საერთოდ, რაც მოგვივა, ჩვენს თავს დავაბრალებთ მერე!..

ვითომ მართლა ასე განწირული ვყავართ ღმერთს? მართლა არაფერი გვეშველება უხუდონჰესოდ?

საპასუხოდ მოვიშველიებ იმ სპეციალისტთა მოსაზრებებს, რომელთა ობიექტურობაში დასაეჭვებლადაც თუნდაც იმიტომ არ არსებობს საფუძველი, რომ საგანგებოდ პოლემიკის ან „უწყებრივი მუნდირის“ ღირსების დასაცავად არ გამოუთქვამთ მათ ეს მოსაზრებები. ვგულისხმობ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ლოლობერიძის ვრცელ წერილს „საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება და ეკოლოგიური ასპექტები“ (ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, №№ 8,9) და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის რომან გოცირიძის პუბლიკაციებს გაზეთ „თბილისის“ 10 და 22 ნოემბრის ნომრებში.

რამდენადაც დასახელებულ მასალებში მოყვანილი დასკვნები არავის გაუხდია სადავოდ (ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია პრესაში მათი უარყოფა), ვთვლი, რომ ეს დასკვნები სწორია და უფლება მაქვს დავეყრდნო.

მე ასე შევაბრუნებდი კითხვას:

აუცილებელია თუ არა, ვაშენოთ „ხუდონჰესები“?

საქმეში ჩაუხედავთაგან ხშირად მსმენია: საქართველოს იმდენი აქვს ელექტროენერგია, იქეთ რუსეთს ვამარაგებთ და

უცნაური ამბავია: ტექნოკრატები ზრუნავენ საზოგადოებაზე, საზოგადოება კი გააფთრებით იცავს თავს მათი მზრუნველი ხელისაგან.

პოზიცია

უკანასკნელ ხანს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვნებათაღელვის საგნად იქცა ზემო სვანეთში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი.

ჰიდრომშენებელთა ჩანაფიქრის სრული განხორციელება სვანეთს სრულ მოსპობას უქადის... (ცი ჟღერს ეს კატეგორიულად, მაგრამ საგნებს თავ-თავისი სახელი უნდა დავარქვათ).

წყლით უნდა დაიფაროს ენგურის ხეობის (ანუ ხეობაში განლაგებული სოფლების) უდიდესი ნაწილი — თითქმის მესტიამდე. ხოლო, რაც წყალზემოთ დარჩება, იქ საარსებო პირობები მოისპობა, მოსახლეობა აიყრება და რაიონი გაუკაცრიელდება უსათუოდ. აი, მერე კი აღარაფერი დააბრკოლებს ჰიდრომშენებლებს, რომ უშგულის მიმართულებითაც განავითარონ შეტევა...

ამგვარი შიშის საფუძველს მაძლევს გაზეთ „კომუნისტში" ახლახან გამოქვეყნებული წერილი „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?", რომელსაც ხელს აწერენ ენგურჰესის მშენებლობის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ პრემიის ლაურეატი **ნეგუს აკობია**, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **გიორგი მიქელაძე**, და ენგურჰესის მშენებლობის გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის" რედაქტორი **მურად ჟანტურია**.

არა, იქ არ წერია, სვანეთის მოსპობას ვაპირებთო. პირიქით, ისე გაიოლებულად წარმოგვიდგენენ პრობლემას, ისე ოსტატურად და სლალომისტის სიმსუბუქით მანევრირებენ ურთულეს საკითხთა შორის. ოპტიმიზმის ისეთ ბუქში ჰხვევენ ყველა სატკივარს, აშკარა ხდება, რომ დიდად არ ენაღვლებათ შედეგები, რაც ამ მშენებლობას უნდა მოჰყვეს.

„ჩვენ, ჰიდრომშენებლები, ქართველი საზოგადოებისა და მისი სახელოვანი ინტელიგენციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვართ. არ შეიძლება ჩვენ სხვა მიზანი

რესპუბლიკურ პრესაში — „საქართველოს ბუნებაში", „თბილისში", „ახალგაზრდა კომუნისტში", „კომუნისტში" ზედიზედ იბეჭდება წერილები, რომელთა ავტორებიც უდიდეს შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რაც ენგურის ხეობაში ხდება, საქართველოს ტელევიზია უზარმაზარ გადაცემას უძღვნის ამ საკითხს, ფეხზე დგება მთელი სვანეთი, მოსახლეობაში გროვდება ათასობით საპროტესტო ხელმოწერა, განგაშს ტეხს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, ამ საზოგადოების ეკოლოგიური სექციის ახალგაზრდული ბირთვის ინიციატივით სვანეთში ორჯერ ჩადის მეცნიერების, დარგის სპეციალისტების, შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხ. ჯ. პატიაშვილთან ჩვენი ინტელიგენციის შეხვედრაზე საგანგებო მსჯელობა იმართება ამ საკითხზე, იქმნება სამთავრობო კომისია, რომელმაც ენგურზე ჰესების მშენებლობის მიზანშეწონილობა უნდა დაადგინოს, მანამდე კი ხელისუფლება იძლევა განკარგულებას კაშხალში ბეტონის ჩასხმის შეჩერების შესახებ, სანქციონირებულ მრავალათასიან მიტინგებზე გამოაქვთ მოწოდება „გადავარჩინოთ სვანეთი!", გაისმის უკიდურესი შეშფოთება სვანეთის მომავლის გამო და ამ დროს ჰიდრომშენებლები... თავაზიანი მადლიერების გრძნობით აცხადებენ: ყველაფერ ამას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც თანადგომას!..

წერილის ავტორები გვანუგეშებენ: დასატბორი ადგილი „მესტიის რაიონის ტერიტორიის 0,5 პროცენტიც კი არაა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ენგურჰესის წყალსაცავის მნიშვნელოვანი ნაწილი წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზეცაა, ეს ციფრი უფრო შემცირდება".

დიდი შეღავათია!

ჯერ ერთი, საქართველოს ტერიტორიაც არაა სსრკ ტერიტორიის 0,5 პროცენტი, 0,8 პროცენტზე ცოტათი მეტია მხოლოდ... როგორ მოვიქცეთ, სიტყვაზე, ენერგეტიკულმა საჭიროებამ მთელი საქართველოს დატბორვა რომ მოგვთხოვოს? მეორეც, რა გულს გვიკეთებენ იმითი, რომ წყალსაცავის ნაწილი წალენჯიხის ტერიტორიას ტბორავს? წალენჯიხა რა,

მშენებლებმა, თურმე „მატერიალური და მორალური მრავალგზისი (!) კომპენსაციის პროგრამა თავიდანვე ჩადეს სამშენებლო ხარჯთაღრიცხვაში".

გამოგიტყდებით: დღემდე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ „მორალური კომპენსაციის" ფულად გამოსახულებაში გადაყვანა და მისი „ჩადება სამშენებლო ხარჯთაღრიცხვაში" შეუძლებელი იქნებოდა.

„თბილჰიდროპროექტის" მიერ გაკეთებული ანალიზის მიხედვით ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ხუდონჰესის წყალსაცავის ფარგლებში გაიზრდება მხოლოდ 1-1,5 პროცენტით, რაც ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს ადამიანის ორგანიზმზე".

უცნაურია! თუ მეცნიერები თავის დროზე ირწმუნებოდნენ (და ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ), თბილისის ზღვა კეთილ გავლენას მოახდენს დედაქალაქის ჰავის ტენიანობაზეო, ენგურის წყალს რა ამისთანა სპეციფიკური თვისებები აღმოუჩინა „თბილჰიდროპროექტმა", რომ მისი უზარმაზარი წყალსაცავი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს ამ ვიწრო, ჩაკეტილ ხეობაში განლაგებულ რაიონზე?

სხვათაშორის, ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლახან გამართულ დიდ სამსჯავროზე სულ სხვა და ფრიად დამაფიქრებელი მონაცემები წარმოადგინა ცნობილმა მესტიელმა ექიმმა ლუბა ნიჟარაძემ: ენგურჰესის წყალსაცავის გაჩენის შემდეგ, რაიონში 4-5-ჯერ გაზრდილა ზოგიერთი ისეთი ავადმყოფობით დაავადებულთა რიცხვი, რასაც უშუალო კავშირი აქვს ჰაერის ტენიანობასთან.

აქვე ითქვა (და ეს სავსებით დაადასტურა თავის გამოსვლაში პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მურად უშხვანმა), რომ წყალსატევის ანაორთქლი დასავლეთის ქარებს ღრმად შეაქვთ ამ ჩაკეტილ ხეობაში და ამის გამო რაიონში იმდენად გაიზარდა ტენიანობა, რომ სახლებში ყველაფერს ობი ეკიდება, იშლება და ცვივა უნიკალური ფრესკები და ა. შ.

ვის დავუჯეროთ ახლა — „თბილჰიდროპროექტის" გაანგარიშებებსა და პროგნოზებს თუ ზემო სვანეთის მოსახლეობას,

ტობარჰესი და ა. შ. — მესტიამდე?!

კი, ბატონო, მაინცდამაინც ცუდი რად უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ თუკი ყოველწლიურად 3 კაშხალი ინგრევა, ჩვენ როგორღა ვიყოთ მშვიდად?

მსოფლიოში ყველაზე მოუვლელი რკინიგზა ჩვენა გვაქვს და ყველაზე ხშირი სარკინიგზო კატასტროფები ჩვენთან ხდებაო, ცენტრალურმა ტელევიზიამ გამოგვიცხადა ახლახან.

მსოფლიოში ყველაზე ცუდი გზები, ყველაზე ხშირი ავტოავარიები — ყველაზე მძიმე შედეგებით — საბჭოთა კავშირის წილად მოდისო, წერს ცენტრალური პრესა.

ჩერნობილის ტრაგედიამ გვალიარებინა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე ცუდი მდგომარეობა ჩვენს ატომურ ელექტროსადგურებში ყოფილა.

როგორ დავიჯეროთ ახლა, რომ მაინცა და მაინც კაშხლები გვაქვს სხვაზე კარგი და საიმედო?

იმითი დავიმშვიდოთ თავი, რომ ჯერ არც ერთი კაშხალი არ დანგრეულა ჩვენთან? ჩერნობილის პრეცედენტიც არ გვქონდა ადრე... ჩერნობილმა გადაგვაფიქრებინა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში.

აუცილებელია, რომ გიგანტურ კაშხლებზეც ამნაირად ვისწავლოთ ჭკუა?

„ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?" — კითხულობენ წერილის ავტორები (არ მინდა სიტყვას გამოვეკიდო, თორემ ერთი შეხედვით შეიძლება იმგვარი შთაბეჭდილება შეექმნას კაცს, რომ ამ საქმის მესვეურთ იმდენად ჰესის **აშენება** არ აინტერესებთ, რამდენადაც **შენების** პროცესი, მაგრამ ჩვენ მაინც უნებურ შეცდომად ჩავუთვალოთ). კითხულობენ და თავადვე სცემენ ალტერნატიულ პასუხს: „**უარის თქმა... ნიშნავს უარის თქმას ენერგეტიკული ბაზის განვითარებაზე... უარის თქმა თავისთავად უდრის სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის გადასვლის უარყოფას**".

ხედავთ, როგორ ცდილობენ ჩვენს მიმწყვდევას კუთხეში? თურმე ხუდონჰესზე ვყოფილვართ დამოკიდებული მთლიანად. ავა-

აქეთ თურქეთსო.

სპეციალისტები კი წერენ, რომ ჩვენთვის საჭირო ელექტროენერგიის 13 პროცენტი, ანუ 2,3 მლრდ. (ზოგიერთი მონაცემით — 4 მლრდ-მდე) კილოვატსაათი მოძმე რესპუბლიკებიდან უნდა მივიღოთო. და ეს მაშინ, როცა ჩვენი ჰიდროენერგორესურსების პოტენციალი აღემატება უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთისას — ერთად აღებულს!

და, რაც მთავარია, ჩვენ ამ პოტენციალის მხოლოდ 14 პროცენტი გვქონია გამოყენებული (როცა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს თავიანთი პოტენციალი, ამ მხრივ, თითქმის ამოუწურავთ უკვე (პროფ. მ. ლოლობერიძე).

მაშასადამე, თუკი გვაქვს დიდი დეფიციტიცა და დიდი რეზერვიც. ბუნებრივია, ჩვენი დეფიციტი ჩვენივე რეზერვიდან უნდა შევავსოთ. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

მაგრამ ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ საკითხს.

რ. გოცირიძე: „დეფიციტი მართლაც არის, მაგრამ გავბედავ ვთქვა, რომ იგი ხელოვნურად არის შექმნილი. ეს ენერგია ჩვენს ქვეყანაში ძირითადად იხარჯება ზედმეტად წარმოებულ ფოლადზე, ჩარხებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე, მინერალურ სასუქებზე, ზედმეტად მოპოვებულ წიაღისეულზე და ა. შ. მოკლედ, ვაწარმოებთ იმას და იმდენს, რაც არ გვჭირდება".

შემდეგ: „ჩვენი მრეწველობა 6-ჯერ მეტ ტრაქტორს და 16-ჯერ მეტ კომბაინს უშვებს, ვიდრე აშშ და მიუხედავად ამისა, კინალამ არ აშენდა ელაბუგის სატრაქტორო ქარხანა"...

აქ მცირეოდენი კომენტარის უფლებას მივცემ თავს, რადგან ზოგს შეიძლება საეჭვოდ მოეჩვენოს. — როგორ შეიძლება ვაწარმოებდეთ ზედმეტ ფოლადს, ზედმეტ ტრაქტორს, ვაშენებდეთ